შპს “მუკ-თბილისი“

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნები

2022 წელი

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 11

1. კომპანია და მისი საქმიანობა 11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და გამოყენებული განსჯა 20
4. ძირითადი საშუალებები 21
5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 22
6. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები 22
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 22
8. სესხები 22
9. იჯარა 22
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 23
11. ამონაგები 23
12. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები 24
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 24
14. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა 24
15. ფინანსური რისკის მართვა 24
16. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 26
17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 27
18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 27
19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 27
20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები 28

მმართველობის ანგარიში ii

შპს მუკ-თბილისი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამ თარიღით დამთავრებული წლისთვის
და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მუკ-თბილისის“-ს დამფუძნებლებს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს “მუკ-თბილისი“-ს (შემდეგში, „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2023 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებულ მმართველობის ანგარიშს (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვნასა და ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად (იხილეთ გვ. ii-viii), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ -„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. ii-viii) მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი

ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)
პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
11 აგვისტო 2023 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ა/გ	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	940,648	959,564
აქტივების გამოყენების უფლება	9	66,894	169,147
არამატერიალური აქტივები		21,551	21,551
სულ გრძელვადიანი აქტივები		***1,029,093***	***1,150,262***
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	12,762,043	6,947,716
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	6	23,255,643	12,059,894
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი		54,040	-
საგადასახადო აქტივი		951,942	494,053
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	2,364,979	573,653
სულ მოკლევადიანი აქტივები		***39,388,647***	***20,075,316***
სულ აქტივები		**40,417,740**	**21,225,578**
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		333,380	333,380
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		3,294,879	6,780,955
სულ საკუთარი კაპიტალი		***3,628,259***	***7,114,335***
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	9	13,513	90,565
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		***13,513***	***90,565***
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	29,060,416	10,974,288
მიღებული სესხები	8	5,404,000	2,967,808
საიჯარო ვალდებულებები	9	50,811	78,582
გადასახდელი დივიდენდი		2,260,741	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		***36,789,481***	***14,111,243***
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**40,417,740**	**21,225,578**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 აგვისტო

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ბ-ნი გ. ცვარიანი	ქ-ნი გ. რაქვიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ა/გ	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	940,648	959,564
აქტივების გამოყენების უფლება	9	66,894	169,147
არამატერიალური აქტივები		21,551	21,551
სულ გრძელვადიანი აქტივები		***1,029,093***	***1,150,262***
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	12,762,043	6,947,716
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	6	23,255,643	12,059,894
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი		54,040	-
საგადასახადო აქტივი		951,942	494,053
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	2,364,979	573,653
სულ მოკლევადიანი აქტივები		***39,388,647***	***20,075,316***
სულ აქტივები		**40,417,740**	**21,225,578**
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		333,380	333,380
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		3,294,879	6,780,955
სულ საკუთარი კაპიტალი		***3,628,259***	***7,114,335***
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	9	13,513	90,565
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		***13,513***	***90,565***
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	29,060,416	10,974,288
მიღებული სესხები	8	5,404,000	2,967,808
საიჯარო ვალდებულებები	9	50,811	78,582
გადასახდელი დივიდენდი		2,260,741	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		***36,789,481***	***14,111,243***
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**40,417,740**	**21,225,578**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 აგვისტო

დირექტორი
ბ-ნი გ. ცვარიანი

მთავარი ბუღალტერი
ქ-ნი გ. რაქვიაშვილი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	11	71,736,581	62,809,776
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(63,440,997)	(54,160,511)
		8,295,584	**8,649,265**
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	12	(4,205,328)	(4,409,519)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,433,933)	(861,643)
სხვა შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა		(19,578)	36,739
ფინანსური აქტივების გაუფასურება		(130,886)	(1,137,539)
		2,505,859	**2,277,303**
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა	14	14,053	314,042
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/ (ზარალი), წმინდა		394,012	(281,800)
წმინდა მოგება		**2,913,924**	**2,309,545**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 აგვისტო

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ბ-ნი გ. ცვარიანი	ქ-ნი გ. რაქვიაშვილი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	11	71,736,581	62,809,776
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(63,440,997)	(54,160,511)
		8,295,584	**8,649,265**
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	12	(4,205,328)	(4,409,519)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,433,933)	(861,643)
სხვა შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა		(19,578)	36,739
ფინანსური აქტივების გაუფასურება		(130,886)	(1,137,539)
		2,505,859	**2,277,303**
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა	14	14,053	314,042
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/ (ზარალი), წმინდა		394,012	(281,800)
წმინდა მოგება		**2,913,924**	**2,309,545**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 აგვისტო

დირექტორი
ბ-ნი გ. ცვარიანი

მთავარი ბუღალტერი
ქ-ნი გ. რაქვიაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	116,456,019	97,203,436
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(114,447,079)	(98,485,311)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრების ნეტო /(ოპერირებისათვის გამოყენებული ფულადი სახსრები ნეტო)	***2,008,940***	***(1,281,875)***
გადახდილი პროცენტი	(22,942)	(63,400)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი (გამოყენებული) ფული	**1,985,998**	**(1,345,275)**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხი	(218,943)	(129,134)
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(55,250)	(770,526)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები	**(274,193)**	**(899,660)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (8, 9)		
მიღებული სესხები	11,784,387	29,327,524
გადახდილი სესხები	(8,613,166)	(27,425,241)
გადახდილი გრძელვადიანი იჯარა	(49,507)	-
საპროცენტო შემოსავალი	36,995	27,634
გადახდილი დივიდენდი	(2,907,259)	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**251,450**	**1,929,917**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**1,963,255**	**(315,018)**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	573,653	860,568
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(171,929)	28,103
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**2,364,979**	**573,653**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 აგვისტო

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ბ-ნი გ. ცვარიანი	ქ-ნი გ. რაქვიაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის აწგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	116,456,019	97,203,436
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(114,447,079)	(98,485,311)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრების ნეტო /(ოპერირებისათვის გამოყენებული ფულადი სახსრები ნეტო)	***2,008,940***	***(1,281,875)***
გადახდილი პროცენტი	(22,942)	(63,400)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი (გამოყენებული) ფული	**1,985,998**	**(1,345,275)**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხი	(218,943)	(129,134)
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(55,250)	(770,526)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები	**(274,193)**	**(899,660)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (8, 9)		
მიღებული სესხები	11,784,387	29,327,524
გადახდილი სესხები	(8,613,166)	(27,425,241)
გადახდილი გრძელვადიანი იჯარა	(49,507)	-
საპროცენტო შემოსავალი	36,995	27,634
გადახდილი დივიდენდი	(2,907,259)	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**251,450**	**1,929,917**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**1,963,255**	**(315,018)**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	573,653	860,568
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(171,929)	28,103
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**2,364,979**	**573,653**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 აგვისტო

დირექტორი
ბ-ნი გ. ცვარიანი

მთავარი ბუღალტერი
ქ-ნი გ. რაქვიაშვილი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**333,380**	**4,471,410**	**4,804,790**
2021 წლის სრული შემოსავალი	-	2,309,545	**2,309,545**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**333,380**	**6,780,955**	**7,114,335**
2022 წლის სრული შემოსავალი	-	2,913,924	**2,913,924**
დივიდენდი	-	(6,400,000)	**(6,400,000)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**333,380**	**3,294,879**	**3,628,259**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 აგვისტო

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ბ-ნი გ. ცვარიანი	ქ-ნი გ. რაქვიაშვილი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**333,380**	**4,471,410**	**4,804,790**
2021 წლის სრული შემოსავალი	-	2,309,545	**2,309,545**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**333,380**	**6,780,955**	**7,114,335**
2022 წლის სრული შემოსავალი	-	2,913,924	**2,913,924**
დივიდენდი	-	(6,400,000)	**(6,400,000)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**333,380**	**3,294,879**	**3,628,259**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 11 აგვისტო

დირექტორი
ბ-ნი გ. ცვარიანი

მთავარი ბუღალტერი
ქ-ნი გ. რაქვიაშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მუკ-თბილისი (შემდგომში „კომპანია") დაარსდა 2011 წლის 17 ნოემბერს. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს კომპიუტერული, პერიფერიული და ქსელური აღჭურვილობის დისტრიბუცია. კომპანია იღებს აქტიურ მონაწილეობას ისეთი პროექტების განვითარებასა და დანერგვაში, სადაც ზემოთხსენებული ტექნიკის გამოყენება ხდება, ამავდროულად ახდენს დამატებით კომპლექსური სერვისების მიწოდებას მის დილერებზე.

შპს მუკ-თბილისი არის ავტორიზირებული დისტრიბუტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მსოფლიოს წამყვანი ბრენდების, ისეთი როგორიც არის: Autodesk, Dell, IBM და სხვა.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდნენ შემდეგი ფიზიკური პირები:
- იგორ პერევერზევი (61.20%)
- სტანისლავ გურევიჩი (20.40%)
- დმიტრო სედნიევ (14.40%)
- ოლექსანდრ ასტანინ (4.0%)

კომპანიის იურიდიული მისამართია ნოდარ ბოხუას ქუჩა №4, თბილისი, საქართველო.
კომპანიის მაკონტროლებელი პირია იგორ პერევერზევი (უკრაინა). კომპანიის დირექტორია გერონტი ცვარიანი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით.ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარეფინანსური ანაგრიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველაწარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წარსადგენი ვალუტა.

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ("ქართული ლარი").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორისი ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	**ევრო**
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

2.3 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო

პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა-ნაგებობები	45-50
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	5-12
სხვა	5-10

2.4 არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 3_დან 15 ლამდე.

2.5 იჯარა

კომპანია იჯარით ფლობს სასაწყობე ფართებს. იჯარის ხელშეკრულებები გაფორმებულია 1 წლიდან 3 წლამდე ვადით, მაგრამ შეიძლება მოიცავდნენ ურთიერთობების გახანგრძლივების შესაძლებლობასაც.

უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით.

იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სახდელებს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა.

სახდელები დისკონტირდება იჯარაში განივთული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიის იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიის) ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც

მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა, და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ კომპანიის მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვეთის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა.

მცირეფასიანი აქტივების მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული სახდელები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. მოკლევადიანად განიხილება იჯარები, რომელთა ხანგრძლივობაც არ აღემატება 12 თვეს.

ცვლადი საიჯარო სახდელები

კომპანიის იჯარის ხელშეკრულებები არ მოიცავს ცვლად სახდელებს.

საიჯარო ურთიერთობების გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებები

იჯარის ზოგიერთი ხელშეკრულება მოიცავს შეთანხმებულ გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებებს. ეს დათქმები გამიზნულია აქტივების მართვის, კერძოდ მათი ოპერაციული მოქნილობის მაქსიმიზაციისაკენ. ამგვარი უფლებების უმრავლესობა წარმოადგენს კომპანიის ექსკლუზიურ პრეროგატივას.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ბადებს ეკონომიკურ მოტივაციას გახანგრძლივდეს არსებული ურთიერთობა ანდა არ იქნას გამოყენებული შეწყვეტის უფლება. არღიცხულ იჯარის ვადებში გახანგრძლივებისა და შეწყვეტის ვადები (პერიოდები) გაითვალისწინებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლზომიერად სარწმუნოა ამ კონტრაქტუალური უფლებების გამოყენება.

საიჯარო ვადის გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებების გათვალისწინებამ, მიმდინარე ფინანსურ წელს, გამოიწვია საიჯაროს ვალდებულებებისა და გამოყენების უფლებით არსებული აქტივების გაზრდა 880 ლარის ოდენობით.

2.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც

კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან") განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს" (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.8 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.9 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე.

2.10 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის

ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.11 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.12 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და სესხებს.

2.13 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

სავაჭრო ვალდებულები და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების

აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.14 ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება ანგარიშგებაში.

2.15 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.16 ამონაგები, შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაცია აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, ზოგადად, ეს ფაქტი კომპანიის შემთხვევაში დგება საქონლის გადატვირთვასთან ერთად.

შემოსავლები მომსახურებიდან

გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.17 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.18 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მომსახურების გაწევითა და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება ერთ წლამდე ან ერთი წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად, შესაბამისად.

2.19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანება აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ივარაუდება ერთ წლამდე ან ერთი წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად, შესაბამისად.

2.20 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული

ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.21 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

2.22 საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

2.23 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.24 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

2.25 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის, კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ანულირება გაუკეთა მის ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივსა და ვალდებულებას.

2.26 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას, მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.27 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.28 2022 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაშია შემდეგი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და/ან შესწორებები:

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვებიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი", როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების" მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფაისკ 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ეღიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

2.29 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც

კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

- *დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა:* საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.

- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან:* უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომისშესაბამისადდა სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით" საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.

- *გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევსი ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.

- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან დაკონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და 2020 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. 'დაფარვა" განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსისი ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია . ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება"-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენიას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავ გარკვეულ დამატებით შერავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომოანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინასნურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და

შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.3 გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

3.4 საქმიანობის უწყვეტობა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

4. ძირითადი საშუალებები

	შენობები	**კომპიუტერები და ოფისის აღჭირვოლობა**	**სხვა**	**სულ**
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	156,892	181,440	22,470	360,802
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(33,772)	(69,055)	(9,361)	(112,188)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	**123,120**	**112,385**	**13,109**	**248,614**
შეძენა	705,603	54,182	10,741	770,526
გასვლა	-	-	(4,067)	(4,067)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	1,088	1,088
ცვეთა	(10,987)	(40,572)	(5,038)	(56,597)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	**817,736**	**125,995**	**15,833**	**959,564**
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	862,495	235,622	29,144	1,127,261
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	(44,759)	(109,627)	(13,311)	(167,697)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	**817,736**	**125,995**	**15,833**	**959,564**
შეძენა	8,080	47,170	-	55,250
გასვლა	-	-	-	-
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-
ცვეთა	(18,151)	(51,354)	(4,661)	(74,166)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	**807,665**	**121,811**	**11,172**	**940,648**
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	870,575	282,792	29,144	1,182,511
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(62,910)	(160,981)	(17,972)	(241,863)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	**807,665**	**121,811**	**11,172**	**940,648**

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო მარაგები	12,762,043	6,947,716
სულ	**12,762,043**	**6,947,716**

6. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო დებიტორები	21,030,735	11,984,595
გადახდილი ავანსები	1,984,442	75,299
სხვა მოთხოვნები	240,466	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**23,255,643**	**12,059,894**

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ეროვნული ვალუტა ბანკში	337,009	521,585
უცხოური ვალუტა ბანკში	2,027,970	52,068
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**2,364,979**	**573,653**

8. სესხები

	Interest Rate	Currency	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სს თი ბი სი ბანკი	7% + 6 თვიანი ლიბორი	აშშ დოლარი	-	2,241,521
სტანისლავ გურეევიჩი		აშშ დოლარი	-	365,517
დმიტრი სედნევი		ლარი	-	193,500
დმიტრი სედნევი		აშშ დოლარი	-	167,270
MUK DISTRIBUTION LLC		აშშ დოლარი	5,404,000	-
			5,404,000	**2,967,808**

ფულადი ნაკადებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი საბანკო სესხების მოძრაობა:

	2022	2021
1 იანვარი	**2,967,808**	**1,293,565**
ზრდა	11,784,387	28,364,060
შემცირება	(8,613,166)	(26,461,756)
პროცენტის გადახდა	(13,215)	(62,847)
პროცენტის დარიცხვა	13,215	62,847
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(735,029)	(228,061)
31 დეკემბერი	**5,404,000**	**2,967,808**

9. იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები:		
შენობა-ნაგებობები (სასაწყობო)	66,894	169,147
სულ აქტივები	**66,894**	**169,147**

საიჯარო ვალდებულებები:		
მიმდინარე	50,811	78,582
გრძელვადიანი	13,513	90,565
სულ ვალდებულებები	**64,324**	**169,147**

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი ხარჯები:

	2022	**2021**
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა:		
შენობები: წარმოდგენილია საერთო და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებში (შენიშვნა 13)	(53,515)	-
საპროცენტო ხარჯი, წარმოდგენლია ფინანსურ შემოსავალი/(ხარჯი)_ში (შენიშვნა 14)	9,727	-
სულ იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	**63,242**	**-**

ფულადი ნაკადებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი იჯარის ვალდებულებების მოძრაობა:

1 იანვარი	**169,147**	**-**
ზრდა	126,470	169,147
გასვლა	(169,147)	-
საპროცენტო ხარჯი	9,727	-
პროცენტის გადახდა	(9,727)	-
ძირის გადახდა	(49,507)	-
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(12,639)	-
31 დეკემბერი	**64,324**	**169,147**

მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც არ არის ასახული იჯარებად, შეტანილია ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯებში:

	2022	**2021**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯებში - საიჯარო ქირა (13)	67,633	51,663

იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე.

- 2022 წელში კომპანიამ მოახდინა იჯარების ხელახლა გაანგარიშება. ამ გაანგარიშების ეფექტი წინა პერიოდზე არის არამატერიალური და კომპანიას არ ჩაუსწორებია წინა პერიოდი.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2022	**31-დეკ-2021**
სავაჭრო ვალდებულებები	17,819,691	7,840,860
გადასახდელი ხელფასი	533,261	777,489
მიღებული ავანსები	10,707,464	2,355,939
სულ ვალდებულებები	**29,060,416**	**10,974,288**

11. ამონაგები

	31-დეკ-2022	**31-დეკ-2021**
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	66,812,303	60,887,157
საკომისიოს სახით მიღებული შემოსავალი	4,924,278	1,922,619
სულ ამონაგები	**71,736,581**	**62,809,776**

12. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

	2022 წელი	**2021 წელი**
შრომის ანაზღაურება	3,841,639	4,266,852
მარკეტინგის ხარჯი	186,268	-
სხვა	177,421	142,667
სულ გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	**4,205,328**	**4,409,519**

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წელი	**2021 წელი**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,037,476	501,061
პროფესიული მომსახურება	34,147	72,117
მივლინების ხარჯი	63,172	38,502
იჯარის ხარჯი	67,633	51,663
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	27,110	23,880
ცვეთა და ამორტიზაცია	127,682	56,597
ბანკის საკომისიო	21,454	23,504
სხვა ხარჯი	55,259	94,319
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**1,433,933**	**861,643**

14. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა

	2022 წელი	**2021 წელი**
საპროცენტო ხარჯი	(22,942)	(62,847)
საპროცენტო შემოსავალი	36,995	29,001
სხვა	-	347,888
სულ ფინანსური შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	**14,053**	**314,042**

15. *ფინანსური რისკის მართვა*

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31-დეკ-2022	**31-დეკ-2021**
დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (6)	21,030,735	11,984,595
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები (7)	2,364,979	573,653
საკრედიტო რისკის მაქსიმუმი	**23,395,714**	**12,558,248**

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანიის მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობასა და წარსულში არსებულ ნაშთებს.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძვნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოული ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

			31-დეკ-2022		31-დეკ-2021	
	ლარი	**აშშ დოლარი**	**ევრო**	**ლარი**	**აშშ დოლარი**	**ევრო**
ფინანსური აქტივები						
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1,254,536	19,776,199	-	2,752,049	9,232,546	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	337,009	1,969,846	58,124	521,585	31,969	20,099
სულ ფინანსური აქტივები	**1,591,545**	**21,746,045**	**58,124**	**3,273,634**	**9,264,515**	**20,099**
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხა ვალდებულებები	542,623.00	16,908,775.00	368,293.00	790,054	7,385,330	442,965
საიჯარო ვალდებულებები	-	64,324	-	-	169,147	-
სესხები	-	5,404,000	-	193,500	2,774,308	-
დივიდენდი	2,260,741	-	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**2,803,364**	**22,377,099**	**368,293**	**983,554**	**10,328,785**	**442,965**
სავალუტო პიზიცია	**(1,211,819)**	**(631,054)**	**(310,169)**	**2,290,080**	**(1,064,270)**	**(422,866)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31-დეკ-2022		31-დეკ-2021	
	გავლენა მოგება-ზარალზე	**გავლენა კაპიტალზე**	**გავლენა, მოგება ზარალზე**	**გავლენა კაპიტალზე**
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(126,211)	-	(212,854)	-
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	126,211	-	212,854	-
ევროს გამყარება 10%-ით	(62,034)	-	(84,573)	-
ევროს დასუსტება 10%-ით	62,034	-	84,573	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განკვეთი სჯობია კომპანიისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძვნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს, გარდა საიჯარო ვალდებულებებისა რომელიც წარდგენილია გრძელვადიან ვალდებულებებში და მოიცავს პერიოდს 3-წლამდე.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღომ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

16. *ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით*

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

2018 წლის 1 იანვრამდე ფასს 9 დანერგვამდე - შეფასების მიზნით ბასს 39-ში, ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით. რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (i) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები მათი საწყისი აღიარებისას და (ii) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული. კომპანიას ყველა ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ქონდა სესხებად და დებიტორული დავალიანებად.

	31-დეკ-2022	**31-დეკ-2021**

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
- წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	21,030,735	11,984,595
- ფული და ფულის ეკვივალენტები	2,364,979	573,653
სულ ფინანსური აქტივები	**23,395,714**	**12,558,248**
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,819,691	8,618,349.00
- საიჯარო ვალდებულებები	64,324	169,147.00
- სესხები	5,404,000	2,967,808.00
- დივიდენდი	2,260,741	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**25,548,756**	**11,755,304**

17. ***ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება***

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებელობა, ან თუ

არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

2022 წელი

	საერთო კონტროლის ქვეშ	**დამფუძნებლები**	**მენეჯმენტი**
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,169,590	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,467,487	-	-
მიღებული სესხი	5,404,000	-	-
გაცემული სესხი	-	54,040	-
მისაღები პროცენტი	-	4,137	-
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
ამონაგები	1,233,550	-	-
მარაგების შესყიდვა	65,995,644	-	-
მოკლევადიანი სარგებელი	-	-	130,889

2021 წელი

	საერთო კონტროლის ქვეშ	**დამფუძნებლები**	**მენეჯმენტი**
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,691,161	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,821,369	-	-
მიღებული სესხი	-	726,287	
მარაგების შესყიდვა	52,941,855	-	-
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
ამონაგები	703,561	-	-
მოკლევადიანი სარგებელი	-	-	133,433

20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 11 მაისს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

[ფინანსური ანგარიშგების დასასრული]

შპს მუკ-თბილისი

მმართველობის ანგარიში

მმართველობის ანგარიშის სარჩევი

1. კომპანიის მიმოხილვა iv
2. სტრატეგია, განვითარების გეგმა iv
3. მიღწევები v
4. რისკების მართვა v
5. საკადრო პოლიტიკა vii
6. ანტი-კორუფციული პოლიტიკა viii

1. კომპანიის მიმოხილვა

შპს მუკ-თბილისი დაარსდა 2011 წლის 17 ნოემბერს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან იგორ პერევერზევ (61,20%), სტანისლავ გურევიჩ (20,40%), დმიტრი სედნიევ (14,40%), ოლექსანდრ ასტანინ (4%).

შპს მუკ-თბილისი არის ავტორიზირებული დისტრიბუტორი საქართველოში, ინფორმაციული ტექნოლოგიების 30-ზე მეტი მსოფლიო ბრენდის (HP, DELL-EMC, IBM, Oracle, Lenovo და აშშ). სადისტრიბუციო ხელშეკრულებები ვრცელდება არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე და შუა აზიის ქვეყნებზეც. კომპანიის მისია არის, რომ უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და გაუწიოს დახმარება პარტნიორ კომპანიებს სხვადასხვა გარემოებებში მოთხოვნის შესაბამისი გადაწყვეტილების მოძიებაში. სადისტრიბუციო ხელშეკრულებები ავალდებულებს შპს მუკ-თბილისი -ს, რომ აამაღლოს კონკრეტული ბრენდების და მათი ახალი პროდუქციის ცნობადობა ბაზარზე. საცალო გაყიდვების მაღაზიებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის კომპანია ზრუნავს, რომ ადგილობრივად იქონიოს ფართო ასორტიმენტის სასაწყობე ნაშთი. საერთაშორისო გაყიდვებში შპს მუკ-თბილისი ორგანიზებას უწევს მოთხოვნის შესაბამის პროდუქციზე ოპერატიულად შეკვეთის განთავსებას და ლოჯისტიკის ოპტიმიზაციას.
2022 წლის მთლიანი რეალიზაციიდან, კომპანიის საქართველოს ბაზარზე გაყიდვების წილის არის 77% და საერთაშორისო გაყიდვების წილი შესაბამისად 23%.
მომწოდებლების 99% არიან რეგისტრირებული ევროპაში.
თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2022 წლის განმავლობაში იყო 40, საიდანაც 11 იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

2. სტრატეგია, განვითარების გეგმა

მომდევნო წელში მენეჯმენტის მიზანს წარმოადგენს ამონაგების სულ მცირე 15%-იანი ზრდა. მიზნობრივი რეალიზაციის მოცულობა უნდა იქნას მიღწეული ახალი სადისტრიბუციო ხელშეკრულებების გაფორმებით, მარკეტინგული აქტივობებით, ახალი სამუშაო ძალის დამატებით და არსებულის კვალიფიკაციის ამაღლებით, შიდა ბიუროკრატიული სისტემის გამარტივებით და პარტნიორებისთვის უფრო ელასტიური სამუშაო პირობების შეთავაზებით.

2021 წელში განხორციელებული გაყიდვების დეპარტამენტის სტრუქტურულმა ცვლილებამ კვლავ გამოავლინა დადებითი ეფექტი 2022 წლის პერფორმანსზე. კომპანიამ მოახერხა უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება ინფორმაციული ტექნოლოგიების

ბაზარზე არსებულ მსხვილ პარტნიორებთან, რამაც ხელი შეუწყო ახალი პროექტების მოზიდვას და გაყიდვების გაზრდას.
2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებამ გამოიწვია საწყის ეტაპზე მოკლევადიანი გაურკვევლობა მომწოდებლებთან გადახდისუნარიანობის დადასტურებაში. ფინანსური ჯგუფის აქტიური ჩართულობით და მომწოდებლებთან ურთიერთობაში ჩართული თანამშრომლების ძალისხმევით მოხერხდა ყველა არსებული ხელშეკრულების და საკრედიტო ხაზის პირობების შენარჩუნება. ასევე კოვიდ პანდემიისგან შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გართულდა განთავსებული შეკვეთების მოსალოდნელ დროში პროდუქციის მიღება მწარმოებლებისგან.

3. მიღწევები

წინა 2 წლის კორონა ვირუსის პანდემიის გავლენით, 2022 წელს გაიზარდა მოთხოვნა კომპიუტერულ ტექნიკაზე დისტანციურად მუშაობის ხელშეწყობისთვის. თანამშრომელთა გუნდური მუშაობის წყალობით , კომპანიამ შეძლო გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება და წინა წელთან შედარებით თავისი გაყიდვების მოცულობისა და საერთო მოგების გაზრდა. ამის ფონზე დადგა აუცილებლობა რომ მომხდარიყო ახალი თანამშრომლების მოძიება.

2022 წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე შენარჩუნდა 2021 წლის კრიზისი, მწარმოებლებმა ვერ შეძლეს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება და გაჩნდა პროდუქციის დანაკლისი, რამაც გამოიწვია შეკვეთების დაგვიანება. მიუხედავად ამისა , კომპანიის პროდაქტ მენეჯერების სწორმა სტრატეგიამ და შესყიდვების დაგეგმარებამ, შექმნა შესაძლებლობა პარტნიორი კომპანიების მხრიდან ნებისმიერი მოცულობის მოთხოვნის დროული დაკმაყოფილების. შესაბამისად გაიზარდა გაყიდვების მოცულობა ადგილობრივ ბაზარზე 70%-ით.

4. რისკების მართვა

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშვება, როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს ხელშკერულებით ნაკისრ ვადლებულებებს და დავალიანება ყალიბდება საეჭვო მოთხოვნად. ფინანსური აქტივების არსებული მთლიანი ნაშთი არის მაქსიმალური შესაძლო საკრედიტო რისკი. შესაბამისად 2022 წლის 31 დკემბრისათვის საკრედიტო რისკი არის შემდეგი:
მთლიანი მოთხოვნების მნიშვნელოვნად დიდი წილი შედგება ცალკეული პროექტებისგან, რომელთაც გააჩნიათ ინდივიდუალური საკრედიტო პირობები. ხელშეკრულებების მიხედვით არსებული გადახდის ვალდებულება ვარირებს 1 თვიდან 1 წლამდე.
კომპანია 2022 წლის განმავლობაში არ იყენებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის არცერთ ფინანსურ ინტრუმენტს.

საეჭვო მოთხოვნების თავიდან არიდებისათვის, მენეჯმენტმა შეიმუშავა შემდეგი მეთოდოლოგია. ხდება თითოეული მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი, ამის შემდეგ საიმედოობის დონის განსაზღვრა და შესაბამის საკრედიტო პირობებზე მოლაპარაკება.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობა განსაზღვრავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე ფინანსური აქტივებით.

რისკის თავიდან აცილების მიზნით, ყოველკვირეულად დგება მოკლევადიანი ფულადი მოძრაობის პროგნოზი და ხდება ფულადი ოპერაციების დაგეგმვა. ჩვეულებრივ კომპანია ცდილობს ანგარიშზე ჰქონდეს საკმარისი თანხა, რომ უახლოესი 2 კვირის მანძილზე არსებული ყველა ვალდებულების დაუბრკოლებლად დაფარვა იყოს შესაძლებელი.
მეორე ინსტრუმენტი , რომელსაც კომპანია იყენებს არის ბანკის მიერ დამტკიცებული ვადიანი საკრედიტო ხაზი , რომლის გამოყენებაც ხდება მოკლე პერიოდში არასაკმარისი ფულადი სახსრების არსებობისას. კომპანია სარგებლობს სს თიბისი ბანკში 3 300 000 დოლარიანი საკრედიტო ხაზით, რომლის ათვისებაც შესაძლებელია ასევე ეროვნულ ვალუტაში.

სავალუტო რისკი - საქმიანობიდან გამომიდინარე, კომპანიის ფინანსური მაჩვენებელების დიდი ნაწილი არის დამოკიდებული უცხოურ ვალუტაზე, და შესაბამისად კურსის მკვეთრი ცვალებადობა საკმაოდ მძიმედ აისახება ფინასნურ შედეგზე.

სავალუტო რისკების შეფასებისას აუცილებელია ორი მთავარი მიმართულების გამოყოფა:

- სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდბეულებები.
  მომწოდებლების წინაშე ვალდებულებები გენერირდება აშშ დოლარში ან ევროში, შესაბამისად. შესაბამისად კომპანიის გაყიდვების დიდი მოცულობა ასევე არის დაფიქსირებული უცხოურ ვალუტაზე (ამერიკულ დოლარზე), და მიმაგრებულია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ კურსზე. მიუხედავად ამ მიდგომისა, მაინც ჩნდება დიდი დანაკარგები საკურსო სხვაობიდან და კონვერტაციის ოპერაციებიდან. ამ რისკების გადასაზღვევად ამ ეტაპზე კომპანიაში არ არის დანერგილი შესაძლო საბანკო ინსტრუმენტები.
- საკრედიტო პროდუქტები
  კომპანია სარგებლოს საკრედიტო ხაზით რომლებიც განსაზღვრულია აშშ დოლარში. მოკლევადიან პერიოდში საკრედიტო ხაზი იძლევა კონვერტაციიდან პოტენციური დანაკარგების თავიდან აცილების საშუალებას, იმ შემთხვევაში თუ სავალუტო ბაზარზე ეროვნული ვალუტის მკვეთრი მოკლევადიანი პერიოდით გაუფასურება ხდება.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

5. საკადრო პოლიტიკა

კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. დაცულია შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. 2022 წლის ბოლოს კომპანიაში მუშაობდა 44 თანამშრომელი , საიდანაც 30% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. 2022 წელში გაგრძელდა კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა , რომელშიც თანამშრომელთა დიდი ნაწილია ჩართული.

უსაფრთხოება

მენეჯმენტი ძალიან დიდ ყურადრებას აქცევს თანამშრომლების და ვიზიტორების უსაფრთხოებას ოფისში და საწყობში. ოფისი განთავსებულია კეთილ მოწყობილ ბიზნეს ცენტრში „მიონი“. დაცვის სამსახური თბილისი უზრუნველყოფს 24/7 უსაფრთხოებას.
მიმდინარე პანდემიური მდგომარეობის დროს, სრულად არის გათვალისწინებული ყველა სამედიცინო რეკომენდაცია და თანამშრომლები მომარაგებულები არიან აუცილებელი ჰიგიენური თავდაცვის საშუალებებით. დაცულია თანამშრომელთა შორის უსაფრთხო დისტანცია სამუშაო ადგილზე.

ორგანიზაციის სტრუქტურა



6. ანტი-კორუფციული პოლიტიკა

კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოვლად დაუშვებელი და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს.

მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება. კომპანია ყოველდღიურად ახორციელებს შესაძლო თაღლითობით გამოწვეული არსებითი ცდომილების რისკების შეფასებას თავისი ყოველდღიურ საქმიანობით.

კომპანიაში დანერგილია გარკვეული სახის სპეციფიკური და სპეციალური მმართველობითი ღონისძიებები თაღლითობის რისკის გამოვლენის კუთხით და ამგვარი რისკის შეფასება და გამოვლენის მცდელობა განუყოფელია კომპანიის ყოველდღიური მიმდინარე საქმიანობით.

კომპანიას დღემდე არ გამოუვლენია თაღლითობის, ან თაღლითობის საეჭვო შემთხვევები. ასევე, არ გვქონია აღნიშნულთან რაიმე შეტყობინება ან ინფორმაციის მიღების ფაქტები.

შპს მუკ-თბილისის-ის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 11.08.2023 -ში და ადასტურებენ:

სახელი: გერონტი ცვარიანი	სახელი: გვანცა რაქვიაშვილი
პოზიცია: დირექტორი	პოზიცია: მთავარი ბუღალტერი